ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № კ-6 (476)

(საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა)

ქ. წალენჯიხა 30 მაისი 2012 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ №5) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ციმინტიას სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ზუგდიდექსპერტიზა" (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N93) დირექტორი ზურაბი ბერულავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ქ. წალენჯიხის ცენტრში მდებარე სკვერის ტერიტორიაზე კვების ობიექტის, სავაჭრო ობიექტის და ელექტრონული საათის მოწყობაზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის თემში არსებული შინმოუსვლელი მეომრის სახლ–მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქ. წალენჯიხაში წმინდა ნინოს ქუჩაზე ქვედა საშანაოს უბნის სკვერის მოწყობა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ეწერში მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის სახურავის სრული რეაბილიტაცის შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ქ. წალენჯიხის ცენტრში მდებარე სკვერის ტერიტორიაზე კვების ობიექტის, სავაჭრო ობიექტის და ელექტრონული საათის მოწყობაზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის თემში არსებული შინმოუსვლელი მეომრის სახლ–მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქ. წალენჯიხაში წმინდა ნინოს ქუჩაზე ქვედა საშანაოს უბნის სკვერის მოწყობა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფ. ეწერში მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის სახურავის სრული რეაბილიტაცის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 5500.0 (ხუთიათასხუთასი) ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 26 ივნისამდე.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც პროექტების მიწოდების დროს, ასევე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
7.2 ინსპექტირებას განახორციელებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახური.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება ფორმდება აქტის სახით, რომელიც დასტურდება ,,შემსყიდველის'' მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების (ინსპექტირების ჯგუფი) ხელმოწერით.

9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ეტაპობრივად.
9.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული საპროექტო მომსახურეობის მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

ა. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
ბ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების

თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,5%.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 30 მაისიდან 2012 წლის 6 ივლისამდე.
13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა
13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, , რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

ს. კოდი 242739248

მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. III სართული. „ლიბერთი ბანკი“ წალენჯიხის ფილიალი

ბ. კოდი LBRTGE22

ა/ა GE22LB0120179460264000

ტელ: 577 56 47 47

კახაბერ ციმინტია

„მიმწოდებელი“

შპს „ზუგდიდ ექსპერტიზა”

ს. კოდი 220002128

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N 93

მომსახურე ბანკი. ს.ს. „ლიბერთი ბანკი”

სამეგრელოს რეგიონის ფილიალი

ბ.კოდი LBRTGE22. ა.ა GE93LB0113140929712000.

ტელ.: 555 14 11 12

ზურაბი ბერულავა